

ნოვუზი

5

თარგმანი
გოგოლითაჲ

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1567) • მარტი, 1980, ფასი 20 კპპ.

ნ. ჯ. ლოლუასი



— რვა მარტს მაინც დაუთმეთ ამ კალგატონს ადგილი!
— უკვე დაუთმე: მე მომხსნას და მავი დანიშნეს!



— გაიყვანეთ ეს ქალი დარბაზიდან, თორემ ჩამოვალა გამოფენა!

როგორი ხარო ჩემი ღირსი?

დღევანდლამდე ცოლიც მუშაობდა
არ მომსვლია აზრად თავში!
და, საბედო თუკი შემსვდა,
ვიქორწინებ ამ ზამთარში!
მართო დედა უნდა ჰყავდეს,
თან როგორი — გეტყვით მართალს:
ათი კეტი რომ დავარტყა,
ერთი სიტყვა არ უნდა თქვას!
ცოლი იყოს სულ დამჯერე,
ცხვირი ყველგან კი არ შეყოს!..
ნამზითვე ტანსაცმელი
სიცოცხლეში უნდა ეყოს!
წელიწადში თითო ბავშვი
ახინოს და მანვე ზარდოს,
გაამრავლოს ჩემი გვარი,
მე ნუ მომთხოვს ოღონდ საზრდოს!
ასლა, ჩემზე რასაც გეტყვით,
უურადღება მიაქციეთ:
ჯერ სხიური როდი მეთქმის,
ორმოცდაათს მივაღწიე!..
პროფესია არ მაქვს, მაგრამ
ბედი მაინც მწყალობს ასე,
არ მაკლია მარიფათი
ერთი კაცის კვალბაზე!
შეგასხენებთ: გთხოვთ, მაცნობთ
აზრი თქვენი, არა სხვისი —
გაუთხოვარ ქალებიდან
როგორი ხარო ჩემი ღირსი?!

ეთერ სამხარაძე-ჯღაპაძე

(ქ. ს. ხ. უ. შ.)

ქალების საღმრთო

... ქართველი ქალი ოდითგან ცნობილია თავისი სილამაზით, კდემამოსილებით, სინშინდით, პატიოსნებით, სიმშვენიერითა და დიდბუნებოვნებით. დიდი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რომელმაც კავკასიაში იმოგზაურა, აღფრთოვანებული იყო ქართველი მანდილოსნებით. ქართველმა ქალებმა შთააგონეს უკვდავი სტრიქონები რუსთაველს, ბარათაშვილს, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონს, პუშკინს, ლერმონტოვს და მრავალ სხვას, მაგრამ მართო სილამაზით არ დააჯილდოვა ღმერთმა ქართველი ქალი: მისმა ჭკუამ, გამჭრიახობამ, სიმამაცემ, თავდადება, რწმენამ არაერთხელ იხსნა სამშობლო, შარავანდედით შემოსა ისეთი ქართველი ქალების სახელები, როგორიცაა თამარ მეფე, ქეთევან წამებული, მაია წყნეთელი და სხვანი. დღეს ამ ტრადიციას განაგრძობენ ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი: მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრიძე და სხვანი, რომელთაც მთელი მსოფლიო იცნობს. ჩვენ, მამაკაცები, არ უნდა ჩამოვრჩეთ ჩვენს ქალებს, თავი არ უნდა შევირცხვინოთ და მათსავით სასახლონი ვიყოთ. გაუმარჯოს ქართველ ქალებს! ამ ყანწით მე მინდა შევსვა მათი საღმრთო!.. ასე მტერი დაგეცალოთ!.. აბა, ნუ დავარღვევთ ტრადიციას და ბოლომდე დავლიოთ ეს ყანწი! ვინც ბოლომდე არ დალიოს, ქალი იყოს, დედაკაცი იყოს, დიაცი იყოს!..

ამირან პატარქალიშვილი

ნახ. 8. აბაშიძის



— მაჟოცა! მაჟოცა! აღარ მინდა თქვენი სარეჟარი!

კომპინატორის სიმღერა

ჩემი ცოლის ტანსაცმელი
შვიდი ქვეყნის კრებულია!
აცვია და უკეთია,
რაც კი რამე ქებულია! —
ჩაჯინს-ჩასამკაულელებს
ჩაღუბლიონკებულია!

რევაზ ოსუბაიშვილი

შენი ხელის

ნახ. პ. დვინსკისა



ჭირიმე!..

— თავის ფასში შეხვედრია?
— ჰო, ნარუშა დეიდა, თავის ფასში.
— მერედა, მისი ზომა არ უოფილა?
— როგორ არა, მაგრამ თავის ფასში
ჭყიდდნენ თურმე და, აბა, ვინ აარჩევინებდა?
— სულ არ ჩაუვიდა ფეხი?
— ნახევრამდე ჩავადებინეთ, როგორც იქნა.
— ქონი არ წაუხვით?
— ქონი არ გვქონდა და ერბო წავუსვით.
— წევს?
— კი, დივანზე გვიწევს, ფეხები მაგიდაზე უწევია.
— რომელ ფეხზე აცმევთ?
— მარცხენაზე, ნარუშა დეიდა, მარჯვენაში თითიც ვერ ჩავაყოფინეთ. მამას თქვენი იმედი დარჩა.
— ნუ გეშინია, ჩემო ნინიკო, ადამიანმა ფეხსაცმელი თავის ფასში იშოვოს და... გახსოვს, რა ჩავაცვით შარშან მაუვალას?
— სწორედ ის მოიგონა მამამ და იმითომ გამომაგზავნა თქვენთან.

— ალბათ, ტყივა, არა?
— ტყივა, მაგრამ ჭერჭერობით ითმენს.
— მეორეზე ხომ არ გადაწულა ტყივილი?
— მეორეზე, ხანდახან, დენივით გამივლისო რაღაც.
— ოო, გამაყუჩებელი დაგვჭირდება!
— ანალგინს ვუკეთებთ, ოთხ საათში ერთხელ.
— რა დროს ანალგინია, ადამიანო?! ანალგინს ახლა უბრალო ფრანცუზულებზე არ ხმარობენ. მაღალყელიანებზე კი დიმიდროლიც აღარ შველის.
— რა ვიცი, ვალიკო ექიმმა ანალგინი დაუნიშნა.
— ვალიკო ექიმი გუჟვდათ?
— კი, ნარუშა დეიდა, გული რომ წაუვიდა, აბა, რა გვექნა?! ვალიკო ექიმმა გვითხრა, ცალ ფეხზე რომ მორჩეთ, დამიძახეთ, შეიძლება ჰაერის გამოცვლა დასჭირდესო.
— ჰაერის გამოცვლა კარგია. ნადია რომ დაბაკუნობს თავისი დეზებიანებით, სწორედ ლებარდებში ჩაიცვა შარშან.
— ნადიამ თითები მოიჭრა, მგონი.
— თითები კატუშამ მოიჭრა, გოგო! ნადიამ ტერფები ჩამოითალა... ჰო, მართლა, სიცხე ხომ არა აქვს?
— სიცხემ დღეს დაუკლო.
— ო, ეს კარგია! ჩავაცვამთ როგორმე, ცალ ფეხზე მაინც ჩავაცვამთ, ნუ გეშინია, კარგი ხელი მაქვს!
— შენი ხელის ჭირიმე, ნარუშა დეიდა!..

ნ. სალსინოელი

ნარუშა

დიალოგი

— რომანი მაქვს ერთ ლიტმუშაკ ქალთან!
— მერე, როგორაა საქმე?
— პირობა მომცა, ერთ თვეში წავიკითხოვო!...

გალსაზ ცოტაძე

ლოგიკის კანონების მაგალითები

წინააღმდეგობათა ერთიანობა — ცოლქმრული ცხოვრება.
ნეგაციის ნეგაცია (უარყოფის უარყოფა) — ცოლქმრული დავა.
მესამის გამორიცხვის კანონი — ცოლქმრული ურთიერთობა.

აპოლონ გასილაია

ხომ დაგაზიანა ეს ჩემი ბინა...



ხომ ლამაზია ეს ჩემი ბინა, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა: შეუთითხნავი კედლები, მინა და იატაკი — პარკეტი წმინდა! იკეტებოდეს კარები კარგად და ღრიჭოები არ ჰქონდეს ფანჯრებს, შხაპსაც არ ვთვლიდე მე ზედმეტ ბარგად და არც შუშაბანდს, — ქარი რომ ანჯღრევს! ონკანსაც ზოგჯერ სდიოდეს წყალი, რადიატორიც მენახოს ცხელი, არც ტელეფონზე არ ვიყო მწყრალი, სხვაგან დარეკვა არ იყოს ძნელი! არ ჩამქრობოდეს სინათლე ხშირად, შეუფერხებლად ამენთოს გაზი, არ დამჯდომოდეს რემონტი ძვირი — ახალი სახლის აგების ფასი!

ნათო ქალღანი


(ზუგდიდის რ-ნი)

ნახ. პ. დვინსკისა



ნახ. ელისო მაყაშვილისა

— რვა წელია ხელის მოწერას მკირდები და ამ სარვაპარტოდ მაინც მოვაწერეთ!



(ცალფა დიალოგი)

— როგორ არა, ერთი შალიკოს ბიჭია, შეიარევენი დათვით ბიძა-შვილის შვილია, გერან, ნიღბუ-ბიძა არიან, გავეჭირდება ცნობა. შალიკოს ბიჭი, თვითონ რომ არ ეთქვა, შეიძლება, ვერც კი გავჩნდეთ. — რომელი შალიკოს ბიჭი, შა-რშან თალიკო რომ დაუთოვო? — არა, ქალი, თალიკო რომა-ნოზის შერმანმა არ დაუთოვო? — შენ სულ აუკრე, ადამიანს! რომანოზის შერმანმა თალიკოსა

ლალი მარტაშვილი



ნაბ. 8. 3063ხალაპასი



三

ნახ. 0. 22050830 ლიხა



26084379

დავიღალე, აღარ მინდა ახი მუხთან კამათი,
თუ გულით გსურს შეგირიგდე, მომილოცე რვა
მარტი!

ბარათი აღმოაჩინა ვანო ცინცაძე

მართალია, დღეისათვის დედ-
ბაბუის საბედლოდო ქსელი გა-
ართულად ვერ მუშაობს, მაგ-
რამ მის გასაუმჯობესებლად ბე-
რი რამ კეთდება. ვაჭრობაბუ-
რობის სამინისტროს, ქალაქის
საბუღალტრო ქსელის ხელმძღ-
ვანებლობასთან ერთად, აღნიშნულ
საკლოვანებათა გამოსასწორებ-
ლად შედგენილი აქვს გეგმა კონ-
კრეტული ვადებით. შეიცვალა
და მიაღწია რამდენიმე მიმართ-

უდა აღინიშნოს ისიც, რ
IX ხუთწლიან თბილისში არ
ენებულა არც ერთი ავტომო
რეი სატელეფონო სადგური.
ხუთწლიანი ექსპლუატაცი
ადაზი დაგვიანებდა იქნა მი
ბული ატს-34, რის გამ
1978 წელს აბონენტთა ზრ
დაცმა, 13.000 ნომრის ნაცვ
მესრულდა 10.300 ნომრით,
ლეფონის მსურველთა რიცხ
ი 100.000-ს აღაშფოთბა.

ანი ატს-ისა გლდანის დასახლუ-
ბაში.
ტურიზმისა და ექსკურსი-
ების საბარათედოს რეკუპ-
ლირარი საბჭო:
22-ე ნომერში დაბეჭდილი კრი-
ტიკული შინაშენი. რეკლამა

2

ლატი ნატალია

ტაქსით ვინც კი სტუმრად მიდის, ან მანქანით საკუთარით, — დღეობაში ან ქორწინებაში, — თანაც მიაქვს საჩუქარი, მასპინძელსაც იგი უყვარს, იცის მისი დაფასება, ავტობუსით მოსულ სტუმარს ზოგი უმზერს ალმაცურად. არც დღეობა არ ყოფილა, არც ქორწინება, არც ნათლობა, — ისე წაველ მეგობართან სალაღობოდ, გასართობად. მივიდეთ და პირველად ვინერ, — შინ არ დამხვდეს მისი ცოლი თორემ წნევა ამინებს და ვერ მიშველის დიბაზოლი. ჯერ მეტროში ჩავიძირე (ასე იყო ჩემი საქმე), მერე ჩავვექე ავტობუსში და გაუყევე თემქისაკენ. მიველ, ბინის სარკმელიდან დამინახა თურმე ნიკამ, უმანქანოდ რომ მივედი, ეს არაფრად ეჭაწნიკა. თუმცა გაალო უცებ კარი, ჩამომართვა პალტოც უმაღ და ღიმილით გადმოხედა ხუთ კაპიკად მოსულ სტუმარს. მისი ცოლი შინ არ არის, მარცხი არის აცდენილი! — გამიხარდა, ვით სკოლაში გაკვეთილი გაცდენილი. ავეუფუნდით ძველი ძმები, რომ მარტონი შევიყარეთ. ვკითხე — „ცოლი მორიგეა?“ — „სამუხაროდ, მთელი ღამე!“ — უღვაშებში ჩაეცინა და გაუგებ ხეაშადა, ვით დაბმულმა იაღონმა, ავიშვი და ავერიალდი. ჯერ მარანში ჩაიკაბით (სიჭაბუკე გავიხსენეთ), „ალადასტურს“ ვაჭაშნიკებთ, ჩინჩხლებს გვაყრის ალისფერებს. ღვინო ზემოთ ავიტანეთ, მოვასვენეთ ლოჯიაში. გულადობით დავემსგავსე უკვე არსენ ჯორჯიამილის! მაცივრიდან გამოვიღეთ ყველაფერი, განურჩევლად. ქათამს ნიგვზის სანებელი ძელებამდე რომ გაუჯდებოდა, — ო, ისეთი „ბაჟე“ არის, ზედ თითებსაც ჩაიკვნიტავ, ახლა ორი ჭიქა გვინდა, თანაც ერთი მჭადიც გვინდა. „შენ მოგიკვდეს ჩემი თავი, გაჩენილვარ სამძაყოდ!“ — თქვა ნიკამ და გახეურაზე მჭადი უცებ გამოაცხო. სიგარეტიც შევასხენე, ზრდილობიან, თბილი ტონით: „სიამოვნებით მოვწვევდი ახლა იმ შენს „ფილიპ მორისს!“ — ეუთხარი და მომიტანა დაგლეჯილი კოლოფები, რომ დავხედე, მაშინ ვიგრძენ ქვეყნად ძალა ბოროტების. „ღერა-ღერა დავამტვრიე, გზას მიღობავს სიცოცხლისკენ!“ — „რად იძიე შური ასე კეთილშობილ ნიკოტინზე?! მე მოვწვევდი შენს მაგიერ, რატომ ხარ ეგოისტი!“ — ეუთხარი და იმ დამტვრეულ სიგარეტებს მაინც მივწვდი. მადლიანად გაგაბოლეთ, ჭიქას ხელი წამოვავლე. ნიკამ მითხრა: „არ გეწყინოს, შენ დალიე, მე ვერ დავლევ!“ — „ეს როგორი პასუხია, რაღას მითხარ, შემოდო?“ — ღვინოს მარტოდ არ ასმევინ საწატეხიკს და რემონტიორს!“ ტელეფონზე დარეკა და უცებ გაჩნდა ორი კაცი. „თუ გეწყინა, წავალ, ძმაო!“ — გაგახარებდა, თუკი მაცლი!“ — გამიკვირდა, ორივენი, ვით მოვიდნენ ასე ჩქარა. (თურმე, მეხანძრეებით ტანზე გაუხდელნი წვანანი)

ნ.ბ. ჯ. ლომუასი



ოთარ მამფორია

უურიისებება

ანუ

როგორ მიიშვანა ქმარმა, ცოლის ჯიბრზე, ცხრამეტაწიანი ჯახი სტუმრად შინ

ჩაცმაში რომ არ დაკარგონ დრო და გაჩნდნენ უმაღ ლხინში, — პალსტუხებიც უკეთილად, სიგარეტიც უღვეთ პირში. ასეთი რამ არ შენახა, გამიკვირდა, სწორი გითხრათ, ორი კაცი შემოვიდა, ერთი წვეილი გიტარითა. „აი, ჩემი მეზობლები, გაუძელი, თუ ბიჭი ხარ!“ — თქვა ნიკამ და ნინ დაუწყო ნითელი და ღურჯი ჭიქა. დაგვლოცეს და გადახუხეს, ღვინოს ასე ეამბორონენ და, საჭმელის მაგიერად, ზედ სიმღერა დააყოლეს... ერთი სადღეგრძელო ვთქვი და სუფრა ცოტა შეიმშუშა: „რა ჩემი არსებობა?“ — გატეხილი ღამის შუშა!.. თავს კარგად რომც ვუმეურნალოთ, უმაღლესი ხარისხების წამლებიც ესვათ, ვივარჯიშოთ, სიბერით ხომ მაინც ვკვდებით? არ მოვწიოთ, არ დავლიოთ, თუნდაც გვექონდეს ხარის ძალა სულ ერთია, იმ ქვეყანას მაინც წავალთ, მაინც წავალთ! კუჭი, ღვიძლი, თირკმელები დაზიანდეს უნდა უღვთოდ!.. სალსალამათ სხეულს სიკვდილს, გვედრებოთ, ნუ დაუთმობთ, თორემ მიქელ-გაბრიელი იხიუმებს გამარჯვებას, თუ დაფლეთილ სხეულს მოკლავს, მოსაგები რა დარჩება?! თუ სიკვდილის შვილები ვართ, არც ეს სალი გული გვინდა! სიკვდილს თავი შევებაროთ გახეული ფულივით! სულ ქეიფით და სიმღერით გაგვლენოთ წლების კალო და ჯანმრთელი ორგანიზმი მინაში არ ჩაგეტანო!“ — ნიკამ სევდიანად გადმოხედა სწორი ხარო, მითხრა თვალთ. „თქვენ მიირთმევთ ალადასტურს“ — მე რატომ ესვა „კრანის“ წყალი?“ — მეც გაუგეს დიდი ჭიქა, გადაჰკრა და ადგა უმაღ, ღონიერმა, ნაღმა ღვინომ მას ზრდილობა დაუბრუნა. „მაპატიეთ, კოჟამათი როგორ ვზივარ ამ სუფრასთან?!“ — კოსტიუმში გამოვწყო, ლანდი იყო და განკაცდა.

გიტარები აღულუნდნენ, ლხინი იქცა ერთი-ორად. ნიკამ ყველა ჭიქა შესვა, სიგარეტიც გააბოლა. ერთმანეთი გადავკოცნეთ, მარად ძმებად შევევიცეთ, მაგრამ ზარის ხმა გაისმა და ვიკბინე უცებ თითზე. ზარის ხმასაც გააჩნია, მრავალმხრივი არის ზარი, როცა რეკავს ყვეტილ-წყვეტილ: „დგეშა! გახსენ კარი!“ — არის ზარი, სტუმრის ზარი, — ნახია და გვეფერება. არის ზარი „შუქის კაცის“, გულს რომ ეკლად ეღერება. არის ზარი ღამის ქალის, როცა სულში ხანძარია, მარტო ხარ და ელოდები!.. ო, ის ზარი სხვა ზარია!.. არის კიდევ ხმა ზარისა, საკუთარ ხორცს გაჯიჯგინებს, როს გაბმულად ღმუის ზარი: „გააღე, შე სასიკვდილო!“ — და გაალო ნიკამ კარი, ჩვენ კი ღია დავგრჩა პირი: შემოვარდა მისი ცოლი თოფიანი ყაჩაღივით!.. და ჩექმების ბრაზაბრუსით ჩაუარა სუფრის მწყურლად, საძინებელ ოთახის კარს დიდი სკამიც მიახალა!.. ჩავგიქროლა გვერდშეცეპულ ჩქარი მატარებელივით!.. სახტად დავრჩით ფეხზე მდგომნი — სალამისთვის შეღერილნი. ნიკას ფერი წაუვიდა, გამწვანდა და განიწმატდა. „ვაჰ, თუ სუფრა დაიშალა?!“ — მე ამისი დარდი მკლავდა. ვანუგეშე მასპინძელი, პურ-მარილში დავემიღა: „მერე რაა, ნუ მოიწყენ, ყველა ქმრები ამ დღეში ვართ! ღვინო არ დაგილევა, აგერ, უკვე მეცხრე დღეა, პოდა, შენს ცოლს ეს ეწყინა, შენი თანამეცხედრეა!“ — უთანაგრძნეს ყმანვლებმაც, გიტარები ააკვნესეს, ნიკას ცოლი დაავიწყდა, სიყვარულზე ამბობს ლექსებს. საძინებელ ოთახიდან ვარდო ისევ გამოვარდა და ჩექმების ბრაზაბრუსით შედგა გასასვლელის კართან.

„უცხვირპიროვ, უშვილიპიროვ, რას დადიხარ ავანტიურით?“ — კაცი ვერ მომიფანია, სულ კარი გაქცეა ჩაქტირით!.. შეუყვარა ჩვენმა ნიკამ და უსწრაფეს, ვითარ ტყვია, ღვინით სავსე ბროლის ჭიქა ვარდოს მხრებზე მიამსხვრია!.. ქალი უცებ გარეთ გახტა (მოველოდი ასეთ დასტურს!) გული დამწყდა, რომ დახედე სისხლად დაღვრილ ალადასტურს. ნიკა დინჯად ტელეფონთან მივიდა და გვითხრა ნახად: „ახლა ნახავთ, მეგობრებო, ჩემს ცოლს როგორ მოუხაზავ! ალო, ალო, გოგონა ხარ? როგორ ხარ შენი ჯახით?“ — „მოვრჩით რეპეტიციას და, ისე მშია, კვდები კაცი!“ — „ძმა თუ ხარ და მეგობარი, ყველა საქმე გადადე და ჩემთან მოდი, აქ ვივასშოთ შენს საყვარელ ჯახთან ერთად!“ — „აგაშენა! ყველა მოვალთ, ვეტყვი ბიჭებს ჯიგრიანებს, დღეს კონცერტი არა გვაქვს და შენთან ერთად ვიგრიანებთ! ნამოვიღებთ ინსტრუმენტებს, ბიჭო, ხომ გაქვს ბლომად ღვინო?“ — „როგორ არა!“ — „პიანინო?“ — „ნამოვიღებ პიანინოც!“ — დავტრიალდით ყველა უცებ, გავხდით დიასახლისები, ახლა მივხვდი, თურმე, ვარდოს რა ჭქონია ნაკისრები: სახლში, თურმე, რა არ არის — კუპატი და ღორის შაშხი, გულის ყველი, კიტრის წნელი, ჩურჩხელა და ზამთრის ვაშლი, ბადრიჯანის საცივი და შემოლილი შამაია!.. აფსუს, ამ ძუნწ დიასახლისს ეს რომ დარჩეს, არამია! დავტრიალდით და ათ ნუთში ხაჭაპურიც გამოვაცხეთ და გავეშალეთ კვლავ მაგიდა, დამატებით ცხრამეტ კაცზე. აჰა, ზარიც გაისმა და ეს კი უკვე სხვა ზარია — მუსიკალურ ჰანგის ხმა, უტკბილესი ზღაპარია! შემოდინა შავ ფრაკებში ემხით, ყელბმბოღელებით — ვირტუოზი დამკვრელები, სირინოზი მომღერლები!.. შემოდინა სამეგობროდ, სალაღობოდ და სალხინოდ, თან მუსიკის დედოფალიც მოაბრძანეს — პიანინო! სანთელივით ჩამოდნები იმათი ხმის გაგონებით, დუდუნებენ ვოლტორნები, ზუზუნებენ ტრამბონები!.. მოსძახიან საყვირები აკორდონს თავლებით, ალტები და კონტრაბასი, დიდ-პატარა ბარაბნები!.. „თუკი, ძმაო, გული გულობს, ხის წვერზედაც დავეტყვი!“ — ამ სიმღერას ხმას უწყობენ უტკბილესი კლარნეტები. „ბედნიერი ყოფილიყოს სიყვარულის გზა და ფონი!“ — ასე მღერის ვიოლინო, უდასტურებს საქსაფონი. მეზობლებმა სულ დატოვეს ფანჯრები და კარი ღია. ხუმრობ? ოთხ-ოთხმანეთიან ბოლოთის ფულს არ იხდიან! კონცერტს უფასოდ უსმენენ, დიდი თანხა ეზოგებათ, ალტაების ტაში დასცხეს კმაყოფილმა მეზობლებმა!.. და ზანზარებს მთელი სახლი, ჯახს გრილით ჭერი მიაქვს!.. თურმე ვარდო გარეთ დგას და შინ შემოსვლის ეშინია. გული მისდის, ვერ გაუძლო ამდენ ხალხის სტუმრად მოსვლას, ღამეს ათვს ქმრის სიღვდრთან, ანუ თავის დედიკოსთან.

კერძომესაკუთრული ბაცი-
ლით დაავადებული გააფთრე-
ბით იბრძვის უძრავ-მოძრავი ქო-
ნების შეძენისათვის.

მისი ფიქრის, ოცნების, დარ-
დის, სიხარულის, ალტაცების,
გატაცებისა და დატაცების საგა-
ნი არის ფული და სიმდიდრე.


ავადმყოფი გარეგნულად კარ-
გად გამოიყურება, ეს იმიტომ,
რომ სული უჭკნება და ხორცი
უყვავის.

დაავადების დამახასიათებ-
ელი ნიშნები: მომხვეჭელობა —
ქვეყანა მენველ ფურად წარმო-
უდგენია; ეროსავით ყველაფერს
თავისკენ მიითლის; ცხოვრებისა-
დმი მომხმარებლური დამოკი-
დებულება — არავის ეხმარება,
სამაგიეროდ თვითონ ცდილობს,
ყველა და ყველაფერი მოიხმა-
როს; გაუმადლობა — რაც უნდა
მადლარი იყოს, მაინც საკბილოს
ეძებს; მგლური დამოკიდებულე-
ბა დოვლათისადმი, რასაც სიტ-
ყვებით ასე გამოხატავს: „რასაცა
შეჭამ შენია, რას არა — დაკარ-
გულია!“

კერძო საკუთრებაა მისი ბედ-
ნიერების საზომი.

ადამიანებს იმდენად აფასებს,
რამდენადაც ჭირდება.

საუმი ლაქაღაგაი



ნ.ბ. ნ. მაღალაშვილის

კერძომესაკუთრება

ვინც უანგაროდ პატივს სცემს,
აფერისტი, ან სულელი ჰგონია,
რადგან თვითონ ანგარებიანია.

გარდა ზემოჩამოთვლილისა,
ავადმყოფი ამჟღავნებს დიდ სი-
ყვარულს საზოგადოებრივი ქო-
ნებისადმი, რასაც იმით გამოხა-
ტავს, რომ ისაკუთრებს მას. სა-
მაგიეროდ, იგი ალერგიულია სა-
რევიზიო, მილიციისა და კონტ-
როლის ორგანოების მიმართ.

პირველ ხანებში ავადმყოფო-
ბა ფარული ფორმით მიმდინარე-
ობს, სულისა და ხორცის ჭიდი-
ლში ეს უკანასკნელი იმარჯვებს
და დაავადებაც აქ იღებს სათა-
ვეს, მაგრამ ავადმყოფი ამას
ვერ ხვდება და ბედნიერად
გრძნობს თავს, განსაკუთრებით
მაშინ, როცა დიდი რაოდენობით
აგროვებს ხელის ჭუჭყს.

მას შემდეგ, რაც ძალზე დი-
დი ოდენობით დააგროვებს ქო-
ნებას, ავადმყოფი ეთხოვება ადა-
მიანობასა და ადამიანებსაც გა-
ურბის, ამჟღავნებს მრდრეკილე-
ბას ასკეტური ცხოვრებისაკენ;
იკეტება საკუთარ სახლში, რომე-
ლიც სხვებისთვის მიუვალ ციხე-
სიმაგრეს წარმოადგენს, მისთვის
კი — საპატიმროს, სადაც ნება-
ყოფლობით იხდის სასჯელს ჩა-
დენილი ცოდვებისათვის.


ყოველივე ამის მიუხედავად,
ავადმყოფი მართო არ უნდა მი-
ვატოვოთ, თორემ, შეიძლება,
კერძომესაკუთრული ინსტინქტე-
ბის მსხვერპლი გახდეს!

განკურნების საშუალება: კე-
რძომესაკუთრეს უნდა დავუკე-
ტოთ იოლი შემოსავლის გზები
და დავუბრუნოთ იგი პატიოსან
შრომას!


ამის შემდეგ ავადმყოფის
მდგომარეობა მკვეთრად გაუ-
მჯობესდება: დაძლევს რა ნივ-
თებისა და საკუთარი თავის
ტყვეობას, დაიბრუნებს ფიზიკურ
და სულიერ თავისუფლებას და,
რაც მთავარია, მშვიდ ძილს.

ალმანხორ თავაძე

ცოლის ჭკუით დაკოვალეშტებული სამმართველოს აპერატი



სამმართველოს
აპერატი



ჩაბუტული ლუმელით, მუქით მანათებელით,
გაყინული ფანჯრებით, მოდის მატარებელი!

მემანქანე ნელ-ნელა, ორი წუთით აჩერებს...
ჭიათურის სადგურში ღვას „თბილისი-საჩხერე“

გუმანით თუ მიხვდება, ვაგონია რომელი, —
არც ერთს არ აწერია გარკვეულად ნომერი!

ვიდაც ყვარის: „ხომ ხედავ, დღესაც დაიგვიანა,
უცებ წავა! არიჭა! ჩქარა გოგო, ღიანა!“

გამცილებელს ასვლისას მივაწოდე ბილეთი,
კრძალვით წყალი მოეთხოვე, თან შეეხედე იმედით.

მის თავს რა დამავიწყებს, ვინც ხალხს რისხვას ახლიდა?!
მითხრა: „წყალი, ღობილო, წამოგელო სახლიდან!“

ახლა მინდა, მაღლობა გაუგზავნო ნობათად,
ოთრეულის ნაცვლად რომ შეეუღლი მოგვართვა!


სიჯიუტით ქალურიო განა ხალხი შევძარი?
საწოლშივე გაეაშრე „კონვერტიც“ და ზეწარიც.

ბრახს ჩემს გულში ვინახავ, არ მსურს, ვიქცე ყვირილად,
თორემ თუ დავიყვირე, გაიგონებს ყვირილაც!

დღე, წაუხდეს ჩემსავით ყველა იმას გუნება,
ვინაც „თბილისი-საჩხერეს“ უქეის მომსახურებას!

აღარც მე ვარ დღეიდან ამ სიმღერის მქეპელი:
„მოდის მატარებელი, გულის გამხარებელი!“

ეთერ ჯიშკარიანი
(ქ. ჭიკთურა)



უღმრთო

გაბროვოული ხუმრობები

ტრამპანიზი

— შეხედე, შენი სიმპათია ქალიშვილი ზის მეორე მხარეს, ნადი, მიუჯექი!

— სიამოვნებით მიუჯდებოდი, მაგრამ მას, მგონი, ჯერ ბილეთი არ აუღია!

სარფიანი ყიდვა

გაბროვოელმა გადაწყვიტა, ძეგლი დაედგა სიღერისათვის.

— გაქვთ რაიმე სოლიდური, თანაც იაფი?

— არის ერთი, მაგრამ მასზე სხვისი სახელია ამოკვეთილი!

— ეგ არაფერია: ჩემმა განსვენებულმა სი-დედრმა კითხვა არ იცის!

ჯრუწკა

გაბროვოელს ცოლი გაუხდა ავად. ფუ-ლის გადახდა ჭირივით ეზარებოდა, მაგრამ რას იზამდა? საღამოს ქალაქში წავიდა ექი-მის მოსაყვანად.

შუა გზაში რაღაც გაახსენდა, დაბრუნდა სახლში და ცოლს შესძახა:

— ანა, თუ იგრძნობ, რომ აღსასრული მო-გიახლოვდა, ლამაზა ჩააქრე, წავთი რომ ტყუი-ლად არ დავინვას!

დეკეშა

გაბროვოელი გაემგზავრა სავაჭრო საქმეებზე. გაყიდა საქონელი და გადანყიბა, ცოლისათვის დეკეშა გაეგზავნა: „საქონელი

გაყიდე მოგებით ჩამოვალ გაბროვოში პარა-სკვე საღამოს, შენი დიმიტრი“.

დეკეშა გრძელი მოეჩვენა. „ცოლმა — ზომ-იცის, რომ მე საქონელს ყოველთვის მოგებით-ყიდი?“ — გაიფიქრა და წაშალა არასაქონე-სიტყვები. დატოვა: „ჩამოვალ გაბროვოში პარა-სკვე საღამოს, შენი დიმიტრი“. ჩაიკითხა და ახლა გაიფიქრა, ბევრის გადახდა მომინევსო. „ისედაც ცნობილია, გაბროვოში რომ დაებრუ-ნდები და კვირამდე აქ უსაქმოდ არ გავჩერ-დები!“ წაშალა დანარჩენი სიტყვებიც და და-ტოვა მარტო „შენი დიმიტრი“. „რა თქმა უნდა მისი ვარ, აბა, ვისი ვარ? რა საჭიროა ამაში ფულის დახარჯვა?“ — თქვა, დახია ბლანკი და გამოვიდა ფოსტიდან.

პატივისცემა

ერთხელ გაბროვოელს სტუმრები ეწ-ვივნენ. დასდნენ, ისაუბრეს...

— შესთავაზე სტუმრებს რაიმე გამაგრლე-ბული! — შეახსენა ცოლმა.

— რა თქმა უნდა! — უპასუხა ქმარმა და... ფანჯარა ფართოდ გააღო.

ძველი ანგარიში

გაბროვოელმა ექიმთან მიიყვანა ცოლი გლანდების ამოსატრელად.

— გლანდები ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში უნდა ამოეჭრა! — თქვა ექიმმა ოპერაციის შემდეგ.

— ახ, ასეა?! დიდი მადლობა! მაშინ ანგარი-ში ჩემს სიმამრს გადაუგზავნეთ!

გაწვრთნილი ძაღლი

ბაზარში ქალი კიბორჩხალებს ყიდდა. მი-ვიდა გაბროვოელმა და დიდხანს ევაჭრა. გა-ბროვოელის ძაღლმა იმდენ ხანს უტრიალა კიბორჩხალებს, ვიდრე ერთი მათგანი კუდზე არ ჩაეჭიდა.

ძაღლი სახლისკენ გაქანდა.

— დაუსტვინე შენს ძაღლს, უკან მობრუნ-დეს! — შემფოთდა გამყიდველი ქალი.

— შენ თვითონ რატომ არ დაუსტვენ შენს კიბორჩხალას? დაე, იგი დაბრუნდეს! — უპა-სუხა გაბროვოელმა.

სასამართლოში

მოსამართლე: თქვენ ბრალი გედებათ იმაში, რომ ცოლს თავში თეფში ესროლეთ! ნუთუ არ შეგეცოდათ?

გაბროვოელი: როგორ არ შეგეცოდა, თეფში ხომ სრულიად ახალი იყო!

პარიკმახარი და გაბროვოელი

— პუდრი შე გაყაროთ?

— გაპარსვის ფასში შედის, არა?

— დიახ.

— მაშინ გამიხვეთ ჩემი კუთვნილი პუდრი, ცოლს წავუღებ!

ნაწვეპი წერილიდან

„...მე დიდ ბოდიშს გიხდი, ძვირფასო დე-და, რომ სადგურზე ვერ დაგხედები. დაგხედე-ბა ჩემი ცოლი. ამიტომ, მან რომ გიცნოს, მა-რცხენა ხელში გეჭიროს გოჭი, ან ინდაური!“

ბულგარულიდან თარგმნა ლილი კოჭლაგაზაშვილმა

მთავარი რედაქტორი ჯაშრ ბოლქვაძე

გ. ლოიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიჟნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, თ. ზელიძე

● ტექნიკური რედაქტორი მ. კახალაშვილი, ● საბირისა და იუბილის ურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კვ. ცის გამომცემლობა, გადაეცა ასაწყობად 6/II-80 წ. ზელმოწერილია დასაბეჭდად 14/III-80 წ. ქაღალდის ზომა 70×1081/2 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაზაზი 1.7 ● საქართველოს კვ. ცის გამომცემლობის სტამბა, თბილისი; ● ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 358 უმ 00642 ტირ. 160.100. თბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Ниянги», ● Изда-тельство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, თბილისი, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

სარედაქციო ავტორები: ჯ. კაციშვილი, ჯ. ლოლუა,

ნახატი თემატიკის ავტო-რები: მ. აბაშიძე, ვ. კუცია, ბ. მაყაშვილი, ბ. მახვილა-ძე, ა. ქიქოძე, ი. ყვინა-შვილი, ს. ჯაფარიძე.